



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი

05/07/2021 წელი

№ MOD 3 21 00000565



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქმედო გეგმა (2021 წელი)

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქმედო გეგმა (2021 წელი)“.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქმედო გეგმა (2021 წელი)

ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2021-2030 წლებისთვის ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის საჭიროებას. ამისათვის კი აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით ერთიანი, სისტემური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკის დანერგვა. ასევე, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მსგავსი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა.

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა, რითიც, ერთი მხრივ, ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ამას გარდა, 2020 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანია შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვა. ამისათვის, აღნიშნული კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებების, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მხრიდან.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, სამინისტრომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის სამოქმედო გეგმა 2021 წლისთვის. აღნიშნული სამოქმედო გეგმით განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების

კუთხით სამინისტროში დღეისათვის არსებული გარემოს შეფასება, ასევე განისაზღვრება სამომავლო ღონისძიებები, როგორც სერვისებისა თუ ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვის ან/და შესაბამისად ადაპტირების, ისე, შშმ პირთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით.

მიზანი 1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაში					
ამოცანა 1.1.	არსებული გარემოს შეფასება და სამომავლო ღონისძიებების განსაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინების კუთხით					
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: ნაწილობრივ განვითარებული შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სერვისები და პროცედურები			ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი: იდენტიფიცირებულია, შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისი, სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, სერვისები და პროცედურები		
აქტივობა 1.1.1.	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესწავლა გარემოს შეფასებისთვის	შესწავლილია საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები	მომზადებული ანგარიში	რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი	2021 წელი III- IV კვარტალი	სახელმწიფო ბიუჯეტი
აქტივობა 1.1.2.	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა შესაბამისი უნარების განვითარებისთვის ტრენინგ(ებ)ის ჩატარება	ჩატარებულია მინიმუმ 1 (ერთი) ტრენინგი	ჩატარებული ტრენინგ(ებ)ის რაოდენობა	ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, სამინისტროს ადმინისტრაცია	სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა	2021 წელი III –IV კვარტალი	სახელმწიფო ბიუჯეტი

აქტივობა 1.1.3.	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
მომდევნო წლებში განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრა შესაბამისი სფეროს ექსპერტების/ ორგანიზაციების ჩართულობით	განსაზღვრულია აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების უზრუნველყოფისათვის	გამართული შეხვედრები/ კონსულტაციები; შემუშავებული გეგმა	თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი	თავდაცვის/ ძალების გენერალური შტაბი, სამინისტროს ადმინისტრაცია, სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	2021 წელი III –IV კვარტალი	სახელმწიფო ბიუჯეტი